საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაშიბაძე ვახტანგ ვასილის ძე

კაშიბაძე ვახტანგ ვასილის ძე [14 (27). VII. 1914, ქუთაისი, – 19. II. 1999, თბილისი], სამთო ინჟინერი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1964), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1969).

დაამთავრა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტის სამთო ფაკ-ტი (1937). მუშაობა დაიწყო დონბასში (1937–40). მონაწილეობდა II მსოფლიო ომში (1939–45). 1943-იდან მუშაობდა სპი-ში შრომის დაცვისა და მაღაროს აეროლოგიის კათედრაზე, 1959-იდან ხელმძღვანელობდა ამავე კათედრას.

კ-ის სამეცნ. კვლევები ეხება მაღაროს აეროდინამიკური წინაღობის მნიშვნელობის თეორიულ და ექსპერ. განსაზღვრას. მან შეისწავლა შახტებისა და მაღაროების აეროდინამიკური წინაღობის კოეფიციენტის დამოკიდებულება ნახშირის სანგრევების (ლავების) სიმძლავრეზე; შექმნა ორიგინალური ტიპის აეროდინამიკური სასწორი, რ-ის მეშვეობით დაადგინა აეროდინამიკური წინაღობის კოეფიციენტები და მათი საანგარიშო ფორმულები სხვადასხვა ტიპის სამაგრებითა და მექანიზებული და ლენტიანი კონვეიერებით აღჭურვილ გვირაბებში; მაღაროში დანერგა პნევმოკონტეინერული ტრანსპორტი (იხ. სტ. პნევმატიკური ტრანსპორტი).

აღსანიშნავია კ-ის მოღვაწეობა ხელოვნების დარგში – ავტორია რამდენიმე მუს. ნაწარმოების (რომანსი, სონეტი, ფანტაზია ფორტეპიანოსათვის).

თხზ.: Исследование аэродинамического сопротивления квершлаго-штрекообразных выработок при новых видах крепления, М., 1951; Исследование

аэродинамического сопротивления механизированных горных выработок, М., 1965.